დამტკიცებულია:
სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ დირექტორის
2022 წლის 20 ივნისის N 01/52 ბრძანებით
ცვლილება: ბრძანება N 01/120 16.10.2023
ცვლილება: ბრძანება N 01/174 17.12.2025
ცვლილება: ბრძანება N 01/64 03.09.2026

სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი”

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

ფოთი

2026

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი" (შემდგომში - კოლეჯი) პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და კოლეჯის შენობასა და ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესსა და პირობებს.

1.2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია კოლეჯის მედდა რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

1.3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას კოლეჯში უზრუნველყოფენ კოლეჯის დამლაგებლები და მეეზოვე.

მუხლი 2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

2.1. პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი

2.1.1. კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებული პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას.

2.1.2.პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი (შემდგომში კაბინეტი) კოლეჯში, ფოთის ლოკაციაზე, განტავსებულია შენობის მეორე სართულზე, ხოლო ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე- შენობის პირველ სართულზე.

2.1.3. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარით, სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებითა და მედიკამენტებით.

2.1.4.კაბინეტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მედდა ან დირექტორის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი პირი/პირები.

2.1.5.პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, ან პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაბამისი ტრენინგი.

2.1.6.კოლეჯში დასაქმებულები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინფორმირებულნი არიან კაბინეტის მდებარეობისა და ფუნქციონირების შესახებ საინფორმაციო შეხვედრაზე, კოლეჯის შენობაში ყველა სართულზე გამოკრულია კაბინეტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პასუხისმგებელი პირის/პირების მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას.

მუხლი 3. პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები

3.1. პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

3.1.1.კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებებით კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით;

3.1.2 კოლეჯის დირექტორს წარუდგინოს შესაძენად აუცილებელი სამედიცინო მედიკამენტების ნუსხა;

3.1.3 განახორციელოს მონიტორინგი კაბინეტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე და უწესრიგობის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;

3.1.4 კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი საშუალებებით ჩანაცვლების თაობაზე.

3.2. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

3.2.1. კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

3.2.2. გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კოლეჯის ხელმძღვანელობას, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში ასევე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს;

3.2.3. პრევენციის მიზნით, გასცეს ინფორმაცია ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შესახებ ან/და მითითებები მათი გავრცელების თავიდან აცილების პირველადი ღონისძიებების თაობაზე;

3.2.4. აკონტროლოს კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, ასევე სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება;

3.2.5. აწარმოოს გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვა, სპეციალურ ფორმაში ინფორმაციის შეტანის გზით;

3.2.6.პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს კაბინეტში განთავსებულ მატერიალური ფასეულობების, მათი შენახვის/გამოყენების წესების დაცვას.

მუხლი 4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა

4.1. დამლაგებლები კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოფენ:

4.1.1. კოლეჯის შენობაში სასწავლო ოთახების, სახელოსნოების, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახების, სასადილოს, მშრალი და სველი წესით დალაგებას ყოველდღიურად;

4.1.2. კოლეჯში არსებული სველი წერტილების სპეციალური ქიმიური საშუალებებით ზედმიწევნით დასუფთავებას, საპირფარეშოებში ტუალეტის ქაღალდების, ხელსახოცებისა და საპნის დროულ განთავსებას, დღეში ორჯერ.

4.1.3. კოლეჯის ტერიტორიიდან ნაგვის გატანას და სანაგვე ურნების გასუფთავებას ყოველდღიურად.

4.1.4.კოლეჯის შენობის კიბეების, ვესტიბულისა და დერეფნის სველი წესით დალაგებას ყოველდღიურად.

4.1.5. სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციას დადგენილი გრაფიკის შესაბამისად;

4.2. მეეზოვე კოლეჯის ეზოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უზრუნველყოფს:

4.2.1. კოლეჯის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის დალაგებას ყოველდღიურად;

4.2.2. კოლეჯის ეზოდან ნაგვის გატანასა და სანაგვე ურნების გასუფთავებას;

4.2.3. კოლეჯის ეზოში ნარგავებისა და ბალახის საფარის მოვლა/მოწესრიგებას.

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი

კოლეჯის დამლაგებლების მიერ კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლს ახორციელებს კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი.